საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 55 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

ნ. რევაზიშვილისათვის „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ზოგადი განათლების, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კატარის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ნიკოლოზ რევაზიშვილს მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ზოგადი განათლების, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

გიორგი გახარია